კონსტიტუციური(სახელმწიფო მოწყობის) სამართალი.დასკვნითი გამოცდა.

<u>საქართველოს საკონსტიტუციო სამართლის წყაროები</u>

საკითხზე იმუშავა- მარიამ ნუცუბიძემ.

ზოგადი განმარტებით,სამართლის წყარო ეს არის სამართლის გამოხატვის ფორმა.შესაბამისად,საკონსტიტუციო სამართლის წყარო ყველა ის ფორმა და საშუალებაა,რომლითაც საკონსტიტუციო სამართალი გამოიხატება და აწესრიგებს საკონსტიტუციოსამართლებრივ ინსტიტუტებს.სამართლის წყარო ძირითადად ორი ნიშნით ხასიათდება,ის შეიძლება იყოს **დაწერილი** და **დაუწერელი**.საკონსტიტუციო სამართლის ძირითადი წყაროებია - **სამართლებრივი აქტები,ჩვეულება** და **სასამართლო პრაქტიკა**.მაგრამ ასევე აღსანიშნავია საკონსტიტუციო სამართლის მეცნიერება(**დოქტრინა**) და **რელიგიური ხასიათის წყაროები**,რომლებიც გარდა იმისა,რომ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილია,ზოგიერთ ქვეყანაში კონკრეტული რელიგიის წმინდა წერილი კონსტიტუციაზე მაღლაც კი დგას.(მაგალითად,ირანის ისლამური რესპუბლიკა,სადაც ნებისმიერი კანონი ისლამის ძირითად პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს.) აგრეთვე ჩვეულება და სასამართლო პრაქტიკა („სამოსამართლო სამართალი“) სამართლის ძირითადი წყაროა ანგლო-საქსურ სამართლებრივ ოჯახში.მაგალითად,გაერთიანებული სამეფოს ე.წ დაუწერელი კონსტიტუცია ერთგვარი კრებულია რამდენიმე სამართლებრივი აქტისა,რომლებიც აგრეთვე მოიცავს პარლამენტის შიგნით არსებული ურთიერთობების მომწესრიგებელ ჩვეულებებს.

რაც შეეხება ქართულ საკონსტიტუციოსამართლებრივ სისტემას,იმის ფონზე,რომ ჩვენი ქვეყანა განეკუთვნება რომანულ-გერმანულ სამართლებრივ სისტემას,საკონსტიტუციო სამართლის ძირითადი წყარო ჩვენთან სამართლებრივი აქტებია.თავის მხრივ,აქტების კლასიფიცირება რამდენიმე ნიშნით ხდება- **ნორმატიული** და **ინდივიდუალური,საკანონმდებლო** და **კანონქვემდებარე** აქტები.საკანონმდებლო აქტები ჩამოთვლილთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია,რადგანაც,შესაძლოა,კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტი სულაც არ იყოს საკონსტიტუციო სამართლის წყარო,ამ მხრივ ყურადღება უნდა გამახვილდეს,აწესრიგებს თუ არა სამართლებრივი აქტი კონსტიტუციურსამართლებრივ საკითხებს.

რაც შეეხება საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს,მათ იერარქიას განსაზღვრავს საქართველოს კანონი ,,ნორმატიული აქტების შესახებ".თავის მხრივ კი ნორმათა იერარქია განმსაზღვრელია იმ შესაბამისობისა,იდეური თანხმობისა,რაც აუცილებლად უნდა არსებობდეს ქვემდგომსა და ზემდგომ საკანონმდებლო აქტებს შორის.

კონსტიტუცია საქართველოს უზენაესი სადამფუძნებლო კანონია,რომელიც მიიღება რთული მექანიზმით და არეგულირებს სახელმწიფო მოწყობის,ორგანიზაცია-ფუნქციონირებისა და ადამიანის ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს.თავის მხრივ,კონსტიტუცია ქვეყნის უპირველესი კანონია და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მას.კონსტიტუცია განსაზღვრავს პოლიტიკურ,ეკონომიკურ,სოციალური სისტემის ძირითად მიმართულებებს,ქმნის ერთიან სამართლებრივ მართლწესრიგს.აგრეთვე ნორმათა იერარქიაში კონსტიტუციის გვერდით დგას **კონსტიტუციური კანონი**,ის კონსტიტუციის თანაბარია და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.კონსტიტუციური კანონი რამდენიმე შემთხვევაში მიიღება: - **საქართველოს სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრისას**(კონსტიტუცია მიუთითებს,რომ კონსტიტუციური კანონით განისაზღვრება ქვეყნის ტერიტორიულ-სამართლებრივი მოწყობა უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე,მხოლოდ მას შემდეგ,რაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სრულად აღდგება საქართველოს იურისდიქცია,შესაბამისად,მსგავსი კანონი ჯერ მიღებული არ გვაქვს და მისი მიღება კონსტიტუციაზე დაყრდნობით,სამომავლოდაა გამიზნული.), **აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის განსაზღვრისას**(აღსანიშნავია,რომ ამ ორიდან არსებობს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციური კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ",რომელიც მიღებულ იქნა 2004 წლის 1 ივლისს,რაც შეეხება კონსტიტუციურ კანონს"აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ",მისი მიღებაც სამომავლოდაა გამიზნული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.) და **კონსტიტუციის გადასინჯვისას**(მნიშვნელოვანია,რომ კონსტიტუციის გადასინჯვას სჭირდება სწორედ ისეთი კვორუმი,როგორც კონსტიტუციური კანონის მიღებას,კერძოდ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის მინიმუმ სამი მეოთხედი.კონსტიტუციის გადასინჯვა საკმაოდ რთული პროცედურაა.საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის სამართლებრივი

მექანიზმი მოცემულია „საქართველოს კონსტიტუციის“ მერვე თავსა და „პარლამენტის რეგლამენტის“ ოცდამეშვიდე თავებში.შესაძლებელია გამოიყოს საკონსტიტუციო ცვლილებების სამი მნიშვნელოვანი პირობა :

1. **საკონსტიტუციო ცვლილებების უფლებამოსილი ინიციატორი**– კონსტიტუციის 102-ე მუხლის თანახმად,კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენის უფლება აქვთ პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს და არა ნაკლებ 200 000 ამომრჩეველს. იმ შემთხვევაში,როდესაც ინიციატორი პარლამენტართა ნახევარია,პარლამენტის ბიური პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მიერ წარდგენილ საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივ გადასინჯვის შესახებ კანონპროექტს,ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმების მიზნით,გადასცემს **პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს**,რომელიც 1 კვირის ვადაში ამოწმებს მას და შედეგებს წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.

იმ შემთხვევაში,როდესაც ინიციატორები არიან ამომრჩევლები,ამ უფლების განხორციელების მიზნით,საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეები ქმნიან **საინიციატივო ჯგუფს**,არანაკლებ 10 წევრის შემადგენლობით.საინიციატივო ჯგუფი **პარლამენტის ბიუროს** მიმართავს განცხადებით რეგისტრაციაში გატარების შესახებ.განცხადებას უნდა ერთვოდეს საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტი და საინიციატივო ჯგუფის წევრთა მონაცემები.ამ მასალებს პარლამენტის ბიურო 3 დღის ვადაში გადასცემს **პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს**.პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გატარების შესახებ განცხადებით მიმართვიდან 7 დღის ვადაში საინიციატივო ჯგუფს გადასცემს სარეგისტრაციო მოწმობას ან მოტივირებულ უარს ეუბნება რეგისტრაციაზე.საინიციატივო ჯგუფი სარეგისტრაციო მოწმობის მიღების დღიდან უფლებამოსილია დაიწყოს საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება.ხელმოწერების შესაგროვებლად **პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის** მიერ დადგენილი ფორმის თითოეულ ფურცელს ხელს აწერს არა უმეტეს 50 ამომრჩევლისა.ისინი პირადად აღნიშნავენ შემდეგ მონაცემებს: **სახელს,გვარს,დაბადების წელს,თვესა და რიცხვს,მისამართს,პირად ნომერს,ტელეფონის ნომერსა** და **ხელმოწერის თარიღს**.ყოველ ასეთ ფურცელს ხელმოწერით ადასტურებს ხელმოწერების შეგროვებისათვის **პასუხისმგებელი პირი**,რომელიც პასუხისმგებელია ხელმოწერების სისწორისათვის და პასუხს აგებს ხელმოწერების გაყალბებისთვის.თითოეული პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა უნდა დამოწმდეს **სანოტარო ბიუროში**.შევსებულ ხელმოწერების ფურცლებს საინიციატივო ჯგუფი სარეგისტრაციო მოწმობის მიღებიდან 4 თვის ვადაში წარუდგენს **პარლამენტის ბიუროს**,რომელიც მათ პარლამენტის **საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს** გადასცემს.კომიტეტი ხელმოწერების ფურცლების მიღებიდან 1 თვის ვადაში ამოწმებს

ხელმოწერების ნამდვილობას და შედეგებს წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.თუ დადგინდა,რომ ხელმოწერები შესრულებულია პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნათა დარღვევით,პარლამენტის ბიურო უარს ეუბნება საინიციატივო ჯგუფს საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის პარლამენტში განსახილველად წარდგენაზე.თუ შემოწმების შედეგად ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა 200 000-ზე ნაკლები აღმოჩნდა,ამომრცეველთა ინიციატივით,საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელება უარყოფილად ითვლება.

2. **გადასინჯვის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა-** ამომრჩეველთა ხელმოწერების ნამდვილობის შესახებ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის **დადებითი დასკვნა** და მინიმუმ 200 000 ამომრჩევლის მიერ წარმოდგენილი საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ **კანონპროექტი** წარედგინება პარლამენტის ბიუროს,რომელსაც საკითხი შეაქვს პარლამენტის უახლოესი პლენარული სხდომების დღის წესრიგში **კონსტიტუციური კანონის** პროექტის გამოქვეყნებისა და საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის მიზნით,ხოლო **ხელმოწერების ფურცლები** გადაეცემა **პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს.** აღსანიშნავია,რომ საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს პარლამენტი და რეგლამენტის გათვალისწინებით ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს კომისიის წევრთა რაოდენობასთან დაკავშირებით. შექმნილი საორგანიზაციო კომისია უზრუნველყოფს კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვას.აღნიშნული კომისია 1 თვის ვადაში განიხილავს საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებულ მასალებს.პარლამენტი ამ კანონპროექტის განხილვას იწყებს მისი გამოქვეყნებიდან 1 თვის შემდეგ.
3. **კენჭისყრისათვის აუცილებელი კვორუმი და კენჭისყრებს შორის განსაზღვრული ინტერვალი** - კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის მისაღებად საჭიროა პარლამენტის ორ თანმიმდევრულ სესიაზე სულ ცოტა სამი თვის ინტერვალით სრული შემადგენლობის **არანაკლებ სამი მეოთხედის** თანხმობა. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი აზუსტებს კენჭისყრის პროცედურას.რეგლამენტის თანახმად,საკონსტიტუციო ცვლილების მისაღებად აუცილებელი სამი კენჭისყრიდან ორი ერთსა და იმავე სესიაზე,ხოლო საბოლოო,მესამე კენჭისყრა,სულ ცოტა სამი თვის შემდეგ,მომდევნო სესიაზე იმართება.

დღესდღეობით,მიღებულია 33 კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ).

იერარქიულად მეორეა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან გაფორმებული **,,კონსტიტუციური შეთანხმება"** ,ე.წ **,,კონკორდატი"**,რომელიც მიღებულ იქნა 2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს კონსტიტუციაში არსებული დებულებიდან გამომდინარე,რომელიც განსაზღვრავდა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში.კონსტიტუციური შეთანხმება აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობებს,შეთანხმებას ხელს აწერენ საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.კონსტიტუციურ შეთანხმებას ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი და ის დამტკიცებულად ითვლება,თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის **მინიმუმ სამი მეხუთედი.**

კონსტიტუციური შეთანხმების შემდგომ ნორმათა იერარქიაში ადგილი უჭირავს **საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.**საერთაშორისო ხელშეკრულება ერთი სახელმწიფოს(სახელმწიფოების) მიერ სხვა სახელმწიფოსთან(სახელმწიფოებთან) ან საერთაშორისო ორგანიზაციასთან(ორგანიზაციებთან) წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმებაა,რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით,განურჩევლად იმისა,წარმოდგენილია იგი ერთი თუ რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული დოკუმენტით და მიუხედავად ხელშეკრულების კონკრეტული სახელწოდებისა.საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების,გაუქმებისა და დენონსაციის უფლება აქვს **საქართველოს პარლამენტს.**საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების მომზადების,დადების,რატიფიცირების,გამოქვეყნების,შესრულების,დენონსირებისა და გაუქმების წესი განისაზღვრება: ,,საქართველოს კონსტიტუციით", ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით, ,,საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონითა და ,,საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით".აღსანიშნავია,რომ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციას პარლამენტი **დადგენილებით** ახდენს,რომლის მისაღებადაც საჭიროა პარლამენტის წევრთა **სრული შემადგენლობის უმრავლესობა.**

რიგით მეოთხე ნორმათა იერარქიაში **ორგანული კანონია.**მსგავსი ტიპის საკანონმდებლო აქტის ინსტიტუტი საფრანგეთის რესპუბლიკის კონსტიტუციამ დაამკვირა.ორგანული კანონი თავის მხრივ **კონსტიტუციიდან გამომდინარეობს** და მიიღება მხოლოდ იმ საკითხებზე,რომელთა შესახებაც უშუალო მითითებაა საქართველოს კონსტიტუციაში.მაგალითისთვის,კონსტიტუცია ითვალისწინებს ისეთ საკითხებზე ორგანული კანონის მიღებას,როგორიცაა: სახელმწიფო სიმბოლოები,ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების განსაზღვრა,საქართველოს უზენაესი სასამართლოს ორგანიზაცია,საქმიანობა,წევრთა უფლებამოსილება,შრომითი უფლებების დაცვა,საარჩევნო სისტემა და ა.შ. სწორედ უშუალო მითითებებზე დაყრდნობით

საქართველოს მასშტაბით ოცამდე ორგანული კანონია მიღებული.ორგანული კანონის მისაღებად საჭიროა პარლამენტის **სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.**ორგანული კანონი ჩვეულებრივი კანონისგან განსხვავდება იმით,რომ მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში მიიღება და ჩვეულებრივ კანონზე აღმატებულია.

საკანონმდებლო აქტების ბოლო,მეხუთე დონეზე სამი ტიპის ნორმატიული აქტი დგას,ესენია: **მიმდინარე ანუ ჩვეულებრივი(ორდინალური)კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი** და **პარლამენტის რეგლამენტი.**ერთ დონეზე ხსენებული ნორმატიული აქტების არსებობსა მიუთითებს იმაზე,რომ სამივე მათგანს ერთნაირი საკანონმდებლო ძალა აქვს.თავის მხრივ,მიმდინარე კანონი საკანონმდებლო აქტების ყველაზე გავრცელებული ფორმაა,ის ყველაზე ხშირად გამოიყენება პარლამენტის მიერ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხების მოსაწესრიგებლად.მის მისაღებად საჭიროა პარლამენტის დამსწრეთა უმრავლესობის,მაგრამ არა ნაკლებ სრული შმადგენლობის ერთი მესამედის მხარდაჭერა. აღსანიშნავია,რომ საქართველოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს 7 სუბიექტს,ესენია: საქართველოს მთავრობა,პარლამენტის წევრი,საპარლამენტო ფრაქცია,პარლამენტის კომიტეტი,აფხაზეთის ა/რ-ისა და აჭარის ა/რ-ის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები და მინიმუმ 30 000 ამომრჩეველი.თუმცა,მათ შორის,საქართველოს პარლამენტი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ საკანონმდებლო ინიციატივას განიხილავს რიგგარეშე.

რაც შეეხება **პრეზიდენტის დეკრეტს**,ამ საკანონმდებლო აქტს პრეზიდენტი მხოლოდ და მხოლოდ საგანგებო ან საომარი მდგომარეობისას გამოსცემს საგანგებო ღონისძიებების გასახორციელებლად,თუმცა დეკრეტები **დასამტკიცებლად წარედგინება პარლამენტს**.

პარლამეტის რეგლამენტი კი საკანონმდებლო ორგანოს ნორმატიული აქტია,რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს შინაგან სტრუქტურას,მუშაობისა და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ურთიერთობის წესს,აგრეთვე საკანონმდებლო პროცესს,პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ტექნიკურსა და ორგანიზაციულ საკითხებს.

დაბოლოს,გარდა საკანონმდებლო აქტებისა,საკონსტიტუციო სამართლის წყარო შესაძლოა იყოს კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებიც,თუმცა,როგორც უკვე აღვნიშნე,ამ შემთხვევაში,უცილობელ პირობას წარმოადგენს ის,რომ სამართლებრივი აქტი უნდა არეგულირებდეს კონსტიტუციურსამართლებრივ ურთიერთობას,რათა ის ჩაითვალოს საკონსტიტუციო სამართლის წყაროდ.